თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგგარეშე სხდომის

ო ქ მ ი № 20

25 დეკემბერი 2018 წ. ქ. თელავი

სხდომას ესწრებოდნენ: 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად, თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრად არჩეული 23 დეპუტატი:

თავმჯდომარეობდა: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე არჩილი თხლაშიძე;

ესწრებოდნენ:

საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურის და ბუნებრივი რესურსების კომისიის თავმჯდომარე — დავით ღაღანიძე;

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე — დავით გოგოშვილი;

საკრებულოს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე — ლევან კოჭლოშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარე — ლევან ლილუაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო" თავმჯდომარის მოადგილე — ზურაბ მუსაევი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მრეწველები" თავმჯდომარე — ტიტე დარეჯანიშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი" თავმჯდომარე — არჩილი თვალიაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება - მწვანეები" თავმჯდომარე — გიორგი ჩაბრაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
მწვანეები“ თავმჯდომარის მოადგილე გიგა მამუკელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის „ქართული ოცნება
-კონსერვატორები“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი ქიზიყელაშვილი;

საკრებულოს ფრაქციის
„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“
თავმჯდომარის მოადგილე მიხეილ გრემელაშვილი;

საკრებულოს წევრები: ლევანი ოთიურიძე, ალექსანდრე კუპატაძე, გურამ წულუკიძე, იოსებ პარწიკანაშვილი, ლევან მრელაშვილი, ზაქარია ყარასაშვილი, გოჩა წაწალაშვილი, ზესიკ გაიპარაშვილი, უჩა ჭოტიაშვილი, ზურაბ ნაცარაშვილი, ლელა მენთეშაშვილი (რეგისტრაციის ფურცელი თან ერთვის).

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ:
თელავის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე გიგა თუშიშვილი;
მერიის ინფრასტრუქტურის, სივრცითი მოწყობის, მშენებლობის, არქიტექტურისა და ძეგლთა დაცვის სამსახურის უფროსი ნუგზარ ბაჩიაშვილი;
მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი ლევან ბერძენაშვილი;
საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე;
საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი.
საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების, ინფრასტრუქტურისა და ბუნებრივი რესურსების კომისიაში მოწვეული სპეციალისტი დავით ნუსხელიძე
საკრებულოს აპარატის თანამშრომლები: ნიკა სახიაშვილი, სოფიო ოხანაშვილი, ნინო ტაბიძე, ნინო ასანაშვილი, მთვარისა სოლომნიშვილი.
მოქალაქე: მაკა მოსიაშვილი.

თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო რიგგარეშე სხდომის მოწვევის მიზეზის შესახებ და დასამტკიცებლად წარუდგინა

<u>დ ღ ი ს  წ ე ს რ ი გ ი:</u>

1. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.00სთ-დან-12.20 სთ-მდე

წარმოდგენილი სახით დღის წესრიგის დამტკიცებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა.

**1.მოისმინეს:** საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებების მოწონების შესახებ.

მომხს. ნ.ბაჩიაშვილი
12.00სთ-დან-12.20 სთ-მდე

**აზრი გამოთქვეს:** ლ. კოჭლოშვილმა დასვა კითხვა ინფრასტრუქტურული პროექტების საერთო ღირებულების შესახებ.

სოფელ ფშაველში ტურისტული კემპინგის მოწყობასთან დაკავშირებით, საკრებულოს წევრების მიერ აღინიშნა, რომ ინიციატივა ძალიან კარგია და ხელს შეუწყობს ტურიზმის განვითარებას, რაც თავისთავად აისახება ადგილობრივი მოსახლეობის ყოფით საკითხებზე.

სოფელ კონდოლის მაჟორიტარმა დეპუტატმა გ. წაწალაშვილმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ პროექტში არ არის გათვალისწინებული არცერთი ინფრასტრუქტურული პროექტი სოფელი კონდოლისათვის.

ასევე გ. წულუკიძემ ისაუბრა იმის თაობაზე, რომ პროექტში სოფელ გულგულისათვისაც არ არის განსაზღვრული ინფრასტრუქტურული პროექტი.

აღნიშნულთან დაკავშირებით მომხსენებელმა განმარტა, რომ იმ სოფლებში, რომლებიც არ არის მითითებული პროექტში, ადგილობრივი ბიუჯეტიდან განხორციელდება პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტები.

მომხსენებელმა განმარტებები გააკეთა ასევე ქალაქის ტერიტორიაზე დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების შესახებ.

საკრებულოს წევრების მიერ დაისვა კითხვები იმის თაობაზე, როგორ განხორციელდება პროექტები იმ შემთხვევაში, თუ არ დაფინანსდება საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან.

აღნიშნულთან დაკავშირებით გ. თუშიშვილმა განმარტა, რომ რეგიონალურ პროექტებზე მუშაობა მიმდინარეობს და იმედია, რომ მათი უმრავლესობა დაფინანსდება და დარჩენილი ეკონომიებიდანაც შევძლებთ სხვადასხვა პროექტების განხორციელებას, ასევე ადგილობრივი ბიუჯეტიდან მაქსიმალურად მოხდება თანხების მობილიზება, რათა სრულად განვახორციელოთ დაგეგმილი პროექტები.

**დაადგინეს:** მოწონებულ იქნეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისათვის დასაფინანსებლად წარსადგენი თელავის მუნიციპალიტეტის 2019 წლის საპროექტო წინადადებები (აღნიშნულ გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა სხდომაზე დამსწრე საკრებულოს ყველა წევრმა).

საკრებულოს თავმჯდომარე  GEORGIA. TELAVI MUNICIPALITY  არჩილი თხლაშიძე